ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ივნისი_____ 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე ნათია ხაბურძანიასათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ------- ივნისის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ნათია ხაბურძანიასათვის (პირადი №60001099247) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა №87 სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთით (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.178, ფართობი - 321.00 კვ.მ.) მდებარე უძრავი ქონების 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2024 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №28 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (05.06.2025 წლის №003535925) მიხედვით, რომელიც შეადგენს 7980.00 (შვიდი ათას ცხრაასოთხმოცი) ლარს.

მუხლი 3. ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით, განხორციელდეს 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე მოქალაქე ნათია ხაბურძანიასათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ნათია ხაბურძანიას განცხადება (17.04.2025 წ. N19/4425107131-44) რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა №87 სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა №87 სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთით (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.178, ფართობი - 321.00 კვ.მ.) მდებარე უძრავი ქონება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ნათია ხაბურძანიასათვის (პირადი №60001099247) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა №87 სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთით (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.178, ფართობი - 321.00 კვ.მ.) მდებარე უძრავი ქონების 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2024 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №28 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (05.06.2025 წლის №003535925) მიხედვით, რომელიც შეადგენს 7980.00 (შვიდი ათას ცხრაასოთხმოცი) ლარს.

ასევე, ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით, განხორციელდეს 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

მოქმედი კანონმდებლობისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური, შესაბამისი ზონებისა და ქვეზონების მიხედვით, განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით. ხოლო სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, შესაბამისი ზონებისა და ქვეზონების მიხედვით, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 7%-ის ოდენობით.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნათია ხაბურძანიასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მზევინარ საცერაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი